თემის სამეწარმეო მობილიზაცია – სოფლის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მექანიზმი

„ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უმისოდ ჩვენი თავი ვერც კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა, ამ მიკერებამ მიწაზედ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შეჰქმნა თვით ჩვენი ისტორიაც. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე მიწა და გუთანია.“

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

საქართველო უძველესი აგრარული კულტურის ქვეყანაა. ქართველები სამიწათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეებთან იდგნენ და მიწათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ, ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. ყოველივე ამან განაპირობა მათი განსხვავებული ჩვეკები, სურვილები და მისწრაფებები ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს და რამაც უზრუნველყო ქართველთა უმთავრესი საქმიანობის - სოფლის მეურნეობის გადაქცევა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საძირკველად.

მიწა ქართველი გლეხკაცისთვის არა მარტო წარმოების საშუალებაა, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელი ორგანული ნაწილია. მიწისაგან მისი მოწყვეტა არა მარტო ტრადიციული აგრარული კულტურის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საფუძვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც გამოიწვევს.

საქართველოში ბოლო წლებში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ არ განხორციელდა მიზანმიმართული ეკონომიკური და სოციალური რეფორმები. ყველაზე დიდი რეზერვი, რომლის ამოქმედება უნდა გამხდარიყო მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესების საფუძველი, უყურადღებოდ იქნა მიტოვებული.

დღეს, როდესაც აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურისთვის დახმარების გაწევა, მოსახლეობის რეალური შესაძლებლობების გამოკვეთას და რეალიზაციას განსაკუთრებული ადგილი ენიჭება. **სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ორგანულად შერწყმულ სათემო ორგანიზაციებს ხელეწიფებათ თემის (სოფლის) მოსახლეობის თანამონაწილეობის ღრმად გააზრებული პროექტების საშუალებით მოახდინონ ადგილებზე რეალურად არსებული ინტელექტუალური, ორგანიზაციული და სამეურნეო რესურსების მთლიანი წარმოჩენა და გამოყენება, რის შედეგადაც გარედან ფინანსურ დახმარებასა და სხვა სახის ღონისძიებებს შეექმნებათ წარმატებით განხორციელების ობიექტური საფუძველი.**

სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ გააქტიურონ საზოგადოებრივი აქტივობა იმ სფეროებში, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება სხვადასხვა პირობების გამო ბუნებრივად, ჯერჯერობით არ არის მოსალოდნელი. მათი მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც რეალურად მოქმედი ძლიერი ელემენტი და სანდო პარტნიორი მწვავე პრობლემების გადაჭრაში.

თემის მობილიზაციის მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ეკონომიკურ ნაწილს, რადგან სწორედ ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპზე დამყარებულ პროექტებს გააჩნიათ რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ძლიერი გარანტიები. აქ თემის მობილიზაცია შეიძლება გახდეს ტრადიციული ეკონომიკური დარგების ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მათი ეფექტურობის ამაღლებისა და, შესაბამისად, თემის წევრთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი (რაც თავის მხრივ წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს). ამის თვალსაჩინო მაგალითია სოფლის მეურნეობის ის დარგები, სადაც არსებობს აგროპროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ჩამოყალიბებული ტრადიციები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური

პოტენციალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ. ასეთებია: **მევენახეობა-მეღვინეობა, ხილის (მ.შ. ციტრუსი), ბოსტნეულის, ჩაისა და საკონსერვო პროდუქციის წარმოება და სხვა**. დღეისათვის ისინი განიცდიან მწვავე კრიზისს, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, პროდუქციის რეალიზაციისა და ამ დარგებში დაგროვილ სხვა პრობლემებთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ინტერესების გათიშულობა წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო დარგები წარმოადგენენ მთლიანობით სისტემას, რომლის ეფექტურობა დამოკიდებულია როგორც მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტების იმანენტურ თვისებებზე, ასევე ამ რგოლებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებზე. რაც უფრო მჭიდროა (ორგანულია) ეს ურთიერთკავშირები, მით მეტად სრულყოფილი და ეფექტურია ეს სისტემა. შესაბამისად, ამ კავშირების დარღვევა ხდება მიზეზი ამ დარგების პარალიზებისა, რომლის შედეგებიც სახეზეა.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ა) პროდუქცია (ნედლეული), რომელსაც გადამუშავების გარეშე გააჩნია სასაქონლო სახე. იგი ფერმერის მიერ უშუალოდ მიეწოდება ბაზარს, ან, მოიხმარება პირადი ინტერესებისთვის. ასეთებია: **ხილი, ბაღჩეული, ბოსტნეული, ციტრუსი, ნაწილობრივ – ხორცისა და რძის პროდუქტები და სხვა**. ამ ტიპის პროდუქციის წარმოება, მრავალი სირთულის მიუხედავად, შედარებით მოწესრიგებულია და ამას ძირითადად ის გარემოება განაპირობებს, რომ გლეხი უშუალოდაა დაკავშირებული სარეალიზაციო ბაზრებთან და კონტროლს უწევს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციიდან სასურველი კომერციული შედეგის მიღებას.

ბ) ნედლეული, რომელიც განკუთვნილია გადამუშავებისთვის. ასეთებია: **ჩაი (ჩაის ფაბრიკებისთვის), ყურძენი (ღვინის ქარხნებისთვის), ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული (საკონსერვო წარმოებისთვის), ხორცი და რძე (ხორცისა და რძის კომბინატებისათვის) და სხვა**. სწორედ ეს არის ის სფერო, სადაც ფერმერი იზოლირებულია სარეალიზაციო ბაზრისგან, რადგან, ასეთი პროდუქციის ერთადერთი მომხმარებელია შესაბამისი გადამმუშავებელი საწარმო. ამდენად, ამ ტიპის პროდუქციის წარმოება მთლიანად დამოკიდებულია გადამმუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობაზე. აღსანიშნავია, რომ დარგებზე მოდიოდა ქვეყნის შიდა ეროვნული პროდუქტის ძირითადი ნაწილი და ამიტომ ისინი ეკონომიკის მთავარ ბაზისს წარმოადგენდნენ.

მათი მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში ხასიათდება, როგორც კრიზისული, რომლის გამომწვევ მიზეზებს შორის ძირითადია:

1. არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და სარეალიზაციო ბაზრების დაკარგვა.

2. ინტერესთა კონფლიქტი გადამმუშავებელ საწარმოსა და პროდუქციის (ნედლეულის) მწარმოებლებს (ფერმერებს) შორის.

ბოლო წლებში განვითარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გადამმუშავებელ საწარმოებს ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე დააკისრა "წამყვანის" როლი აგროსასურსათო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საწარმოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და შემოსავლები, გადამმუშავებელ საწარმოთა მესაკუთრენი, როგორც კერძო იურიდიული პირები, ამ საწარმოთა მუშაობის გაჩერებისა და, შესაბამისად, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო დარგის პარალიზების შემთხვევაში პასუხს აგებენ არა ამ დარგებში დასაქმებული ათასობით ადამიანის, არამედ, მხოლოდ თავიანთი ბიზნესის წინაშე. სწორედ ეს არის სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელ საწარმოთა გათიშულობისა და ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი მიზეზი.

გადამმუშავებელი საწარმოები საკუთარი დანახარჯების შემცირების მიზნით ახდენენ ფერმერებისგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს ამ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი. ფერმერი, თავის მხრივ, დაინტერესებულია, რომ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციით დაფაროს დანახარჯები და მიიღოს გარკვეული მოგება კვლავწარმოებისა და პირადი მოხმარების მიზნით, მაგრამ, იმის გამო, რომ მისი პროდუქციის ჩაბარება მხოლოდ შესაბამის გადამმუშავებელ საწარმოშია შესაძლებელი, იგი იძულებულია დათანხმდეს პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასს. ეს კი იწვევს ფერმერების ინტერესის (მოტივაციის) დაკარგვასა და მათ გაუცხოებას ძირითადი პროდუქციის წარმოების მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, ხდება უმნიშვნელოვანესი დარგების განადგურების საფუძველი, რისი შედეგებიც სახეზე გვაქვს: პრაქტიკულად აღარ არსებობს საკონსერვო წარმოება, თითქმის განახევრდა ვენახებისა და ხეხილის ფართობი, ჩაის პლანტაციებით გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყედ არის ქცეული და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გადამმუშავებელი საწარმოების მესაკუთრეთა შორის არსებობენ ერთეული გამონაკლისები, რომლებმაც ნაწილობრივ შეძლეს წარმატებების მიღწევა, უნდა ითქვას, რომ მათი წილი უმნიშვნელოა და ეს ქვეყნისათვის საჭირო დარგები გაჩერებულია, რაც ავტომატურად იწვევს აგრარულ სექტორში დასაქმებული ასიათასობით ადამიანის სამეურნეო საქმიანობის პარალიზებას. ისინი იძულებულნი ხდებიან ეძებონ შემოსავლის მიღების ალტერნატიული გზები, სწყდებიან მიწას, სოფელს, ოჯახს და ძირითადად (უკეთეს შემთხვევაში) ეძალებიან დიდ ქალაქებში არსებულ წვრილ ვაჭრობას, რისი გამოცდილებაც მათ არ გააჩნიათ, ამიტომ მათი პერსპექტივა სრულიად არაპროგნოზირებადი და ბუნდოვანია ასეთი "ახალი საქმიანობა" უმრავლეს შემთხვევაში კრახით მთავრდება.

როგორია ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტური გზა?

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განვლილმა პერიოდმა უკვე აშკარა გახადა, რომ ქვეყნის არსებული ბიუჯეტის შესრულებაზე ზრუნვა მხოლოდ ადმინისტრირების გამკაცრებით და საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციით (რასაც თავის მხრივ,

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება) ვერ გახდება სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველი. აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის დამხმარე კომპლექსური და მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, რის თვალსაჩინო მაგალითსაც სწორედ თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამა წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ეფექტური ფუნქციონირების, ბალანსირებული განვითარების, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელ ფაქტორებს შორის ძირითადია:

- **სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიზნით სოფლის მოსახლეობის (თემის) წევრთა კოოპერირება;**
- **სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ინტეგრაცია, რაც პირდაპირ კავშირშია შესაბამისი დარგების ახლებურ ორგანიზაციულ მოწყობასთან თემის სამეწარმეო მობილიზაციის საფუძველზე;**
- **გადამმუშავებელ საწარმოთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, რაც უნდა განხორციელდეს თვით ამ საწარმოთა ახლებური საკუთრებითი და ორგანიზაციული მოწყობით;**
- **მზა პროდუქციის რეალიზაცია.**

სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა მათი ინტეგრაციაა. ინტეგრირების ოპტიმალური ფორმისა და მასზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელის ძიებას, საბოლოო ანგარიშით, თემის სამეწარმეო მობილიზაციის აუცილებლობასთან მივყავართ. იქ, სადაც მოსახლეობა პრიორიტეტად აირჩევს სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგის განვითარებას, სწორედ თემის სამეწარმეო მობილიზაცია გახდება მათი ინტეგრირების ეფექტური მექანიზმი. სათემო ორგანიზაციის ეგიდით მოსახლეობა (თემი) აწარმოებს პროდუქციას, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე გადასამუშავებლად აძლევს გადამმუშავებელ საწარმოს. გადამუშავებული პროდუქცია თემის საკუთრებაა. მისი რეალიზაცია და კომერციული შედეგის მიღება კი თემის პრეროგატივაა. მიღებული მოგებიდან ფერმერები ერთობლივად განსაზღვრავენ შესაბამისი სახსრების სოციალურ ღონისძიებებზე მიმართვის საკითხს.

თემის მობილიზაციის სამეწარმეო ინიციატივაზე დამყარებული შესაბამისი დარგების შიდაორგანიზაციული მოწყობის ახლებურად გააზრებული მოდელი გახდება საფუძველი პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნისა, სადაც თითოეული სამეწარმეო რგოლი დანარჩენებთან ორგანულად ინტეგრირებული ნაწილია. თემის თითოეული წევრი შემოსავლების გაზრდის მიზნით დაინტერესებული იქნება აწარმოოს უფრო მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია და ამავე დროს თავისი წარმომადგენლების საშუალებით აქტიურად ჩაერთოს გადამმუშავებელი წარმოების პროცესის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფაში და საბოლოო პროდუქციის რეალიზაციაში.

გადამმუშავებელ საწარმოთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოდერნიზაცია უშუალოდაა დაკავშირებული ამ საწარმოთა ახლებურ საკუთრებით და ორგანიზაციულ მოწყობასთან. აღსანიშნავია, რომ ინტერესთა გათიშულობის ფონზე აგრარული სისტემის არაეფექტური ორგანიზაციული მოწყობა განაპირობებს იმას, რომ ყველა ინვესტიცია, თუ დახმარება, გაწეული ცალკე – სოფლის მეურნეობაზე და ცალკე – გადამმუშავებელ საწარმოზე, არაეფექტურია. **ახლებური საკუთრებითი და ორგანიზაციული მოწყობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადამმუშავებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიების შეტანა ხდებოდეს მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რგოლის – სათემო კავშირის მიერ, რომელიც აწვდის მას ძირითად ნედლეულს.** ამ მეთოდით გადამმუშავებელი საწარმოების ბაზაზე, ან მისგან დამოუკიდებლად შეიქმნება ახალ საკუთრებით ურთიერთობაზე დამყარებული ტექნოლოგიურად განახლებული ახალი სამეწარმეო სუბიექტი, სადაც თემი, როგორც იურიდიული პირი, გახდება გადამმუშავებელი საწარმოს თანამესაკუთრე. მისი წილი საწესდებო ფონდში იქნება მასში შეტანილი ტექნიკური აღჭურვილობის ღირებულების შესაბამისი.

ეს პროცესი გამოიწვევს:

- **თემის წევრთა შემოსავლების ზრდას უშუალოდ გადამმუშავებელი საწარმოს მოგებიდან;**
- **გადამმუშავებელი საწარმო პასუხისმგებელი ხდება მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რგოლის – თემის წინაშე, რომელიც თავისი წარმომადგენლების საშუალებით კონტროლს გაუწევს როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ნედლეულის) წარმოების, ასევე, მისი გადამუშავებისა და რეალიზაციის პროცესს.**

დღეს გადამმუშავებელ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითადი საშუალებები მოცდენილია, მოძველებულია და ხშირ შემთხვევაში მათ მეპატრონეებს არ გააჩნიათ ან სახსრები, ან, ინტერესი როგორც მათი ტექნიკური განახლების, ასევე ნედლეულის, ენერგომატარებლების და სხვა კომპონენტების შეძენის მიმართ. ისინი თანახმანი იქნებიან ასეთ პროექტებში მონაწილეობის მიღებაზე, თუ:

• მათგან დამოუკიდებელი ან ერთობლივად მოპოვებული სახსრებით მოხდება მათი საწარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღება, საბრუნავი საშუალებების მოპოვება, კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება, სარეალიზაციო ბაზრების მონახვა და, შესაბამისად, მაღალი კომერციული შედეგის მიღება;

• ისინი მიიღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას (ნედლეულს) ღირებულების ანაზღაურების გარეშე, რადგან თემი თავის შემოსავალს მიიღებს საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მის მიერ წარმოებული ნედლეულის ღირებულებისა და გადამმუშავებელი საწარმოს საწესდებო ფონდში მისი საკუთარი წილის შესაბამისად. საწყის ეტაპზე, აუცილებელი იქნება აგრომწარმოებლებზე ნედლეულის გარკვეული ნაწილის (30-50%) ღირებულების ანაზღაურება, რაც სათემო კავშირისთვის ავანსის სახით დამატებითი სახსრების მოზიდვასთანაა დაკავშირებული და პროექტის დაფინანსების ერთ-ერთი კომპონენტია;

• თემის სამეწარმეო მობილიზაციისა და გადამმუშავებელ საწარმოთა ახალი ორგანიზაციული და საკუთრებითი (თემის საკუთრება,შერეული ტიპის საკუთრება) მოწყობის გამო გაიზრდება ფერმერების დაინტერესება აგროპროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც გადამმუშავებელ საწარმოთა წარმადობას, ასევე, მათ მესაკუთრეთა მოგებასაც.

ამ პროგრამის განხორციელებით მიიღება ე.წ. **„სინერგიული ეფექტი“** შემდეგი ძირითადი კომპონენტების (ეფექტების) ერთობლიობის საფუძველზე:

1. *ეკონომიკური ეფექტი* - მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული დარგების ინტენსიური და ბალანსირებული განვითარება.

2. *სოციალური ეფექტი* - სოციალური სოლიდარობა და სამართლიანობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

3. *მოსახლეობის დასაქმება* – მოხდება სოფლების მოსახლეობის მასიური დასაქმება, სადაც დაფინანსების მოცულობა ერთ დასაქმებულ პირზე შეადგენს საშუალოდ 1000 ლარს, რაც 8-10-ჯერ აღემატება ამ კუთხით კერძო ბიზნეს-პროექტებში განთავსებული ინვესტიციების ეფექტიანობას, რომელიც შეადგენს დაახლოებით 50 000 აშშ დოლარს (85 000 ლარი) ერთ დასაქმებულ პირზე.

4. *ეკონომიკური თვითმმართველობა* – თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი.

საქართველოში თემის სამეწარმეო მობილიზაციის განხორციელების მიზნები და მოსალოდნელი შედეგებია:

• თემის მოსახლეობის თითოეული წევრის შრომითი და სამეურნეო რესურსების შერწყმა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სახელმწიფო სტრუქტურებში და არასამეწარმეო სექტორში დაგროვილ შესაბამისი დარგების კვლევისა და განვითარების მდიდარ გამოცდილებასთან და მათი კაპიტალიზაცია.

• თემის თითოეული წევრის სამეწარმეო ინიციატივის განვითარებაზე და არა დაქირავებულ შრომაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირება;

• მოსახლეობის რეალური შესაძლებლობებისა და პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა და ამ ფონზე სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გასაწევი ხელშემწყობი ღონისძიებების ქმედითუნარიანობის ამაღლება;

• სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ფუნქციონირების ცივილიზებული ფორმების დანერგვა და განვითარება;

• თემის წევრების მიერ რეალური თვითმმართველობის ყველა კომპონენტის: თვითანაზღაურების, თვითრეგულირებისა და თვითკონტროლის განხორციელება;

• მოსახლეობის მასობრივი დასაქმება;

• საქართველოს მხარეების ეკონომიკური და სოციალური განივითარება;

• საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პოლარიზაციის დონის შემცირება;

• საერთო აგროპროდუქციის წარმოების მიზნით თემის წევრთა კოოპერირება;

• თემის მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა და აქედან გამომდინარე, მათი საერთო სოციალური პრობლემის მოგვარება;

• პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირებული სისტემების შექმნა;

• მოსახლეობის სამეწარმეო კულტურისა და განათლების დონის ამაღლება;

• **კერძო მეწარმის და თავისუფალი მოქალაქის შესაბამისი აზროვნებისა და ქცევის ლოგიკის დამკვიდრება.**

თემის სამეწარმეო მობილიზაციის განხორციელების შედეგად მოხდება ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების მკვეთრი ზრდა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამიტომ, ამ პროექტებს ექნება მაგალითის ძალა სხვა თემებისთვისაც. თავის მხრივ, სათემო ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირება განისაზღვრება იმ მატერიალური რესურსებით, რომელიც წარმოიშობა კონკრეტული სამეურნეო პროექტების განხორციელებით. სწორედ ამიტომ თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროექტებს შეექმნებათ რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ობიექტური საფუძვლები.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუტი საზოგადოებრივი (კორპორაციული) ბიზნესის განვითარების მიმართულებებს მხოლოდ კერძო ინიციატივათა ჭრილში განიხილავს, რაც უაღრესად აკნინებს ასეთი პროექტების რეალურ მნიშვნელობას მიმდინარე პერიოდის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაჯანსაღებისთვის. არსებულ ვითარებაში ისევე, როგორც აუცილებელია მკვეთრად იყოს გამიჯნული სახელმწიფო და კერძო სექტორის ფუნქციები, არც საზოგადოებრივი (კოოპერაციული) სექტორის ცალსახად მოაზრებაა მართებული მარტოდენ საკუთრივ კერძო ბიზნესის ჭრილში. რა თქმა უნდა, კერძო ბიზნესის განვითარებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას აქვს უდიდესი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ, თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და, შესაბამისად, პროგრამები, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების განვითარებაზე და, მით უმეტეს, თუ ეს ხდება ჩვენი ქვეყნის ტრადიციული დარგების რეაბილიტაციის საფუძველზე, მაშინ, სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება, ან მათი განხილვა ტიპიური კერძო ბიზნეს-პროექტების პარიტეტულად, უნდა ჩაითვალოს სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად.

ჩვენი პოზიცია არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ეკონომიკურ პროექტებში სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის წინა პლანზე წამოწევით რამდენადმე ვზღუდავდეთ სამეურნეო სისტემის განვითარების წმინდა ეკონომიკურ ასპექტს. პირიქით, სწორედ ეკონომიკური მექანიზმების პრიორიტეტი იძლევა მატერიალური დოვლათის განაწილების ორი ძირითადი პრინციპის – **ეკონომიკურისა და ეთიკურის – ოპტიმალური სინთეზის საშუალებას. ამიტომ, ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიცნობიეროს, რომ სოციალური პოლიტიკის ყველაზე ძლიერი ფუნდამენტი სწორედ ეკონომიკური პოლიტიკაა და მხოლოდ საზოგადოების თითოეული წევრის კერძო სამეწარმეო ინიციატივის განვითარებასა და სამეურნეო სისტემის სრულყოფაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება გახდეს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბების ერთადერთი მყარი საფუძველი.**

ვინაიდან საქმე ეხება ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას დარგების ორგანიზაციული მოწყობის ცვლილებათა საფუძველზე, ქვეყანაში თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელება გახდება ეკონომიკური რეფორმა, რომელიც განუზომლად დიდ წვლილს შეიტანს საქართველოში უმუშევრობის შემცირების, სიღარიბის დაძლევისა და სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ეროვნულ საქმეში. დასასრულ, ხელისუფლების ნების პირობებში თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს მთავრობის მიერ დეკლარირებული პროექტის **„ასი გადამმუშავებელი საწარმო სოფლად“** ფარგლებში.

დავით მამუკელაშვილი,
„მევენახეთა კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე

პაატა კოღუაშვილი,
თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ANNOTATION

„COMMUNITY ENTREPRENEURIAL MOBILIZATION“ – A MECHANISM OF ACCELERATED SOCIO- ECONOMIC DEVELOPMENT

D. Mamukelashvili, P. Koguashvili

“The Community Entrepreneurial Mobilization Program” concerns the development of cooperative relations and inter-branch integration in rural areas. Under the aegis of the community unions, the most important locally available resources of the intellectual, economic and organizational arrangement will be fully highlighted as well as a single cycle of production, processing and marketing of agricultural products will be created. The community population will be in full ownership of the income from sales of the final product and it will itself decide on earmarking the respective funds for reproduction and/or handling of common social problems. Implementation of the Community Entrepreneurial Mobilization Program will bring forth a substantial growth of incomes of the major portion of the country’s population and dynamic improvement of its socio-economic situation.